საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/103 "17" ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დ. გვრიტიშვილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 26 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 3 ივლისს მიღებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადება.

დიმიტრი გვრიტიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. მას აქვს ასევე მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც, კერძოდ იგი 8 წელი იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო 5 წელი ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დიმიტრი გვრიტიშვილი დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ, 2020 წლის 20 ივლისიდან 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი